საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/18 " 18 " თებერვალი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა და სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ითხოვა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული, ქ. ბორჯომში, დ. აღმაშენებლის ქ. №14-ში (საკადასტრო კოდი: 64.23.02.526) მდებარე უძრავი ქონების, კერძოდ, ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს ყოფილი შენობის, მიმდინარე წლის ბოლომდე დროებით სარგებლობაში, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება მოითხოვს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობას. ამასთან, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციით, მითითებული შენობა დღეის მდგომარეობით სასამართლოს საჭიროებებს არ ემსახურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მის ბალანსზე არსებული ზემოაღნიშნული ქონება 2019 წლის ბოლომდე სარგებლობის უფლებით გადასცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი